წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 2

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 11 თებერვალი

2022 წლის 11 თებერვალს, 12^{00} საათზე გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, ბესიკ ფარცვანია, დათა კუკავა, სოლომონ სარია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ხარჩილავა, მერის პირველი მოადგილე-ლაშა ზარქუა, მოადგილე- თამარ ბელქანია. აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 13:00 სთ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თბერვლის N2“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი-მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომხსენებლად

დანიშნული პირი თეა სარია-მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

მოისმინეს-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თეა სარიას მოხსენება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს-ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით დავით ბელქანიამ, მან აღნიშნა რომ ბიუჯეტის მიღების დროს მერიის მიერ იყო დაპირება,

რომ ყველა ცვლილება და შენიშვნა გათვალისწინებული იქნებოდა 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილებაში, რიგი საკითხებისა გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილ პროექტში, თუმცა ბევრი მნიშვნელოვანი შენიშვნა და წინადადება იქნა იგნორირებული, მაგალითად:საბავშვო ბაღების შენობების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა, ქალაქ ჯვარში კორპუსების გადახურვის დაფინასება, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დიპლომისშემდგომი განათლების (რეზიდენტურის) დაფინასება, საჯარო მოხელეთა ხელფასების ზრდა და ა. შ. გათვალისწინებით ამისა, ფრაქცია მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილი ცვლილების პროექტს.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ-მნიშვნელოვანია მაგნიტო-რეზონანსული კვლევების, სტენდირების (კორონოგრაფია) კვლევების დაფინანსება, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტს აქვს იმის რესურსი, რომ უფრო მეტი პროექტი იყოს დაგეგმილი, მაგალითად, არ მიიჩნია სწორად ადმინისტრაციულ ერთეულებში იმ განსახორციელებელი ღონისძიებების ბიუჯეტირება, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს იმის საშუალებას არსებული რესურსი სხვა პროექტებში იყოს ჩადებული.

საკრებულოს წევრმა გონერი კვარაცხელიამ დააფიქსირა პარტია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ პოზიცია, აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარებების მუხლში მეტ-ნაკლებად აისახა წინა სხდომაზე მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები, მაგალითად, გაიზარდა მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა დახმარება 50 ლარამდე, გათვალისწინებულ იქნა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა დაფინანსების გაზრდა, ზდვაიას დასახლებაში კანალიზაციის მოწყობის დაფინასება და ა. შ., აღნიშნულის გათვალისწინებით, ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის“ მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობს“ თავმჯდომარემ მამუკა მიქავამ აღნიშნა, რომ ფრაქცია სრული შემადგენლობით მხარს უჭერს წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ წარმოადგინა დასკვნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიუხედავად, დასკვნაში მოცემული გარკვეული შენიშვნებისა და წინადადებებისა, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ბიუჯეტის ცვლილების ამ სახით მიღება.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა უპასუხა წარმოთქმულ შეკითხვებსა და შენიშვნებს, მან თქვა, რომ შესწავლის პროცესშია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების სტრუქტურები და ფუნქციები, რამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს რეორგანიზაციის განხორციელება, რაც მისცემს საშუალებას ადგილობრივ თვითმმართველობას საჯარო

მოხელეთა საშუალო და დაბალი რგოლის ხელფასების გაზრდისთვის, ამასთან მნიშვნელოვანად მიიჩნია, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინასება 152 000 ლარით გაიზარდა. ნაბიჯ-ნაბიჯ მერია, შემოსავლების გათვალისწინებით, პერიოდულად გაითვალისწინებს საკრებულოს მიერ წამოყენებულ წინადადებებს.

ამის შემდეგ, საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალიამ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკრებულომ მიიღო „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2“ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილება, (2022 წლის 11 თბერვლის N5 დადგენილება თან ერთვის) ღიაკენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით მომხრე-14 დეპუტატი, წინააღმდეგი-7.

ამით საკრებულოს-სხდომამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 13^{00} საათზე.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF TSALENJIKHA
24273924 8